მშრომელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ამოცემის 47-ე წელი
№ 190 (13584)

კვირა, 21 აგვისტო, 1966 წ.

ფასი 2 კაპ.

ᲓᲦᲔᲡ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲤᲘᲠᲪᲚᲔᲑᲨᲘ

- ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲓᲦᲔᲘᲡᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ
- ᲛᲔᲗᲐᲛᲒᲐᲥᲝᲔᲑᲛᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲢᲔᲮᲝᲜ
- ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔ
- ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲮᲐᲠ

ᲝᲠᲛᲝᲪᲘ �წᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲛᲘᲪᲔᲣᲚᲘᲡᲐᲛᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲘᲙᲠᲘᲑᲜᲔᲗ თავიანთ დიდ ოჯაყრილობაზე, რომ ერთხელ კიდევ გადაეხედათ განვლილი გზისათვის, ერთხელ კიდევ შეემოწმებინათ ხალხის სამსახურად მოწოდებული კალმის ფხა, სადღეისო საზრუნავიც აეწონ-დაეწონათ და მომავლის უტყუარი ხაბრძოლო გეზიც დაესახათ.

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ მწერალი მხოლოდ მაშინ მიაღწევს ნამდვილ წარმატებას, როცა თავისი დროის, თავისი საუკუნის ყველაზე მოწინავე მსოფლმხედველობას აითვისებს და თავის სისხლხორცეულ კუთვნილებად გახდის. აი სწორედ ჩვენი საუკუნის ამ მოწინავე მსოფლმხედველობით — მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით შეიარაღებულ მწერალს შეუძლია თქვას, საბჭოთა მწერლები გულის კარნახით ვწერო, ჩვენი გული კი პარტიასა და ხალხს ეკუთვნისო.

რას უნდა უკარნახებდეს გული საბჭოთა მწერალს? რას მოითხოვენ ხალხი და პარტია ჩვენი მწერლობისაგან?

„ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“, — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებაში. — ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲛᲝᲛᲔᲚᲘᲡ ᲐᲮᲚᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲜᲐᲬᲘᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲡ. ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲔᲡᲐᲮᲘᲡᲘᲗ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲔᲗ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲤᲘᲥᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲣᲢᲧᲣᲐᲠᲘ ᲮᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲒᲔᲖᲘᲪ ᲓᲐᲔᲡᲐᲮᲐᲗ.

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲤᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲘᲐᲦᲬᲔᲕᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲗᲘᲗᲕᲘᲡᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘᲗᲐᲓ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ. ᲐᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ — ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢᲣᲚ-ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ შეიარაღებულ მწერალს შეუძლია თქვას, საბჭოთა მწერლები გულის კარნახით ვწერო, ჩვენი გული კი პარტიასა და ხალხს ეკუთვნისო.

„ᲠᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲗᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲒᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ? ᲠᲐᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲔᲜ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ?

„ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“, — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებაში. — ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲛᲝᲛᲔᲚᲘᲡ ᲐᲮᲚᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲜᲐᲬᲘᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲘᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲘᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲘᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲘᲡ ᲖᲘᲛᲘᲐᲓ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲔᲡᲐᲮᲘᲡᲘᲗ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲔᲗ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲤᲘᲥᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲣᲢᲧᲣᲐᲠᲘ ᲮᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲒᲔᲖᲘᲪ ᲓᲐᲔᲡᲐᲮᲐᲗ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲓᲠᲔᲑᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑ

ბურჯი სოფლისა

მივყვები გზას და მიხარია: მზით იცხება საგურამოს ველ-მინდვრები. ავტობუსი ცოცხალ ფერებად ბრიალებს. ადამიანი, რომელიც ალამაზებს ბუნებას, ამბობს დედამიწას, სახეს ეცვლის ქალაქებსა და სოფლებს. ლამაზდება და მშვენიერდება საგურამოც — ყველა ქართველისათვის საყვარელი ადგილი. ძლიერდება და ეზმანება ალბერტ აჭარიანი ოთხ ფერად ფერებს ისახავს აჭარი კოლმეურნეობა. სოფელს ჰყავს თავისი ერთგული თავკაცები, რომელნიც წინ უძღვიან თანასოფლელებს, პირადი მაგალითით აღაფრთოვანებენ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშობლიური სოფლის სახელი. ერთი მათგანია საგურამოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ელენე სოხაშვილი, ყოჩაღი ქალი, გულისხმიერი და გულში ჩამწვდომი ადამიანი, რომელიც საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს.

საგურამოში უქმად მყოფ ადამიანს იშვიათად თუ ნახავთ. ყველანი ბად-ვენახებს შესვეთან, ისმის ტრაქტორებისა და ავტომანქანების გუგუნი... ყველა საკურამოელს თავისი წვლილი შეაქვს ზუთისოფლის სუფრის გაწყობაში, რაზედაც ასე დამაჯერებლად მოგვიწოდებდა დიდი ილია. მომწონს აქაურთა გარჯა, მათი გონებისა და მკლავების ძალა და, ბუნებრივია, კარგ ხალხზე ფიქრი ყოველთვის ახარებს ადამიანს.

ალბათ ეს იყო ჩემი გამოუცნობი სიხარულის მთავარი მიზეზი..

ელენე სოხაშვილი და საბჭოს მდივანი თამარ გოგიძე თავიანთ სამუშაო ოთახში დამხვდნენ. შამინვე საუბარი სოფლის კეთილმოწყობაზე ჩამოვარდა. ცოტა ხნის წინათ საგურამოს გზებზე ტალახი იყო, წვიმების დროს ავტომანქანები ლაფში იჭედნობდნენ. ელენემ ეს საკითხი დეპუტატებთან ერთად განსახილველად აღმასკომის სხდომაზე გაიტანა. კარგი ღონისძიებაც დაისახა. მერე ელენე სოხაშვილმა კოლმეურნეობის ხელმძღვანელს ქიტაია უნდოლაშვილს თავი მოაბეზრა თხოვნით დახმარებოდა საბჭოს გზების მოკირწყვლაში. უნდილაშვილი უარზე როდი იყო, მაგრამ კოლმეურნეობას ისედაც უამრავი საქმე ჰქონდა. თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევაო, ნათქვამია. მოინდომეს, და გზებიც მოიხრეშა. ახალსოფლამდე ახლა მშვენიერი გზაა. შანკავეანის გზაც კარგია. დარჩა მხოლოდ შიდა გზები. ამასაც მალე მორჩებიან.

საგურამო ერთ-ერთი მოწინავე სოფელია საქართველოში. სოფელს აქვს წყაროს ანკარა წყალი, სოფლის ქუჩებსა და კოლმეურნეების სახლებში ელინური ნათურები კაშკაშებენ, ახალი სახლების სახურავებზე აღმართულან რადიოსა და ტელევიზორების ანძები, საგურამოში არის საშუალო სკოლა-ინტერნატი და რვაწლიანი სკოლა, სოფლის მოედნიდან დღეში ხუთჯერ გადის ავტობუსი „თბილისი-საგურამო". ყველაფერი ეს თავისთავად როდი გაკეთებულა.

შარშან ვიღაცას მოეხასიათა და ავტობუსის ბილეთების გამყიდველის შტატი შეამცირა. აირია ავტობუსების მიმოსვლა. სოფელმა დახმარებისათვის ელენეს მიმართა. საბჭოს თავმჯდომარემ თხოვნა ყურადღება, ბევრი ეცადა და დავალება შეასრულა. კვლავ აგუგუნდნენ ავტობუსები საგურამოს მოედანზე.

შარშან სოფელში დიდი ზვიმი იყო. დამთავრდა ახალი სარწყავი არხის მშენებლობა. იგი იწყება ბულაჩაურთან, თეთრ სარტყელად ეკვრის ჯოპორტს, გადადის ბიწმენდის ბოლოზე, გალავანზე და თვითდინებით მოედინება საგურამოში. ეს არის ახალი არხის პირველი მაგისტრალი. მიმდინარეობს მეორე რიგის სამუშაოები. მალე აქაური მიწა სამუდამოდ მოიკლავს წყურვილს. საშვილიშვილო საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ საბჭოს დეპუტატებს, აქტივს და მათ წინამძღოლს ელენე სოხაშვილს.

თანამედროვე სოფელს ამშვენებს არა მარტო კლუბი, სამკითხველო, კეთილმოწყობილი მაღაზიები, კარგი გზები, არამედ ყოფაცხოვრებისათვის აუცილებელი ობიექტებიც.

სასოფლო საბჭოს მეცადინეობით სოფელში აშენდა ახალი საპარიკმახერო. ახლა საგურამოს აქვს საყოფაცხოვრებო მომსახურების პატარა კომბინატი, სადაც შეიძლება ტანსაცმლის შეკერვა, ფეხსაცმლის რემონტი...

კოლმეურნეებს სურთ ჩაიცვან ლამაზად, ლაზათიანად. აქაური ქალები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, თავიანთი ჩაცმულობით არ ჩამოუვარდებიან ქალაქელებს. ახლა საბჭოს საზრუნავია სოფელში იყოს ქალის ტანსაცმლის კვალიფიციური მკერავი. — გვინდა ხელობის შესასწავლად თბილისში გავგზავნოთ ჩვენებური გოგონა, რომელიც ისევ ჩვენთან დაბრუნდება, — თქვა ელენემ.

საგურამოს მიწის სიღრმეში ადგის ორკილომეტრიანი-თბილისის გაზსადენის მაგისტრალური ხაზი, სოფელს კი ბუნებრივი გაზი არა აქვს. ეს იმას ჰგავს, წყალთან იყო და წყალი გწყურიოდეს. ელენე სოხაშვილს დიდი ხანია მიზნად დაუსახავს მიაღწიოს, რომ ყველას ოჯახში და დაწესებულებაში გიზგიზებდეს ცისფერი ალი.

საექიმო უბანი დაქირავებულ ბინაში, ისიც ერთ ვიწრო ოთახში იყო. საბჭოს თავმჯდომარემ ბევრი ინერკია დასარჯა, სანამ ახალ ოროთახიან ბინას გამოძებნიდა. ამისათვის მან ბევრს აწყინინა, ბევრს ნერვები აუშალა, ბევრჯერ იყო პარტიის რაიკომში, რაისაბჭოს აღმასკომში, ბევრჯერ ელაპარაკა რაიონის მთავარ ექიმს გიგა ფორაქიშვილს და მოწამოწქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს მიხეილ დალაქიშვილს, სწორედ ინსტიტუტის შენობაში იყო ის ორი თავისუფალი ოთახი, რომელიც მერე საექიმო უბანში გაიგზავნენ დეპუტატები და აქტივისტები. მათ ბევრი რამ გააკეთეს სწავლის ნორმალურად დაწყებისათვის. სასოფლო საბჭოს სოფლებში ახლა სკოლის გარეთ არცერთი ბავშვი არ არის.

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის შესაბამ!

სასოფლო საბჭო ყოველთვის წარმატებით ასრულებს ყველა გეგმას და დავალებას. კარგად მუშაობენ მეზობელი კომისიები. საბჭოს თავისი წვლილი შეაქვს საკოლმეურნეო წარმოების ზრდაში.

ადრევე ვთქვით, რომ საგურამოში ვერ ნახავთ უსაქმო ადამიანს, სოფელი ამაყობს სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგით. აქ იშვიათად გაიგონებთ სიტყვებს „ხულიგანი", „ლოთი", „ზარმაცი". იქნებ ეს იმას შედეგიც არის, რომ სასოფლო საბჭოსთან არსებობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფი, რომელსაც დიდი მონდომებით ხელმძღვანელობს კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი გიორგი გელაძე.

— რეგორი კლუბი გაქვთ? — შეეკითხე ელენეს და თამარს.

— სწორედ ეგ არის ჩვენი მთავარი დარდი. კლუბის შენობა არ გვივარგა. ახალი შენობის ასაგებად კი საბჭოს სახსრები არა აქვს. რამდენჯერმე ვთხოვე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს იკისროს კლუბის მშენებლობა, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამოდის.

საუბარში რომ ვიყავით, კარზე ვილაცამ დააკაკუნა.

— მობრძანდით, — გასძახა ელენემ.

ოთახში შეგიბეში ჩაცმული ქალი შემოვიდა.

— გამარჯობათ — თქვა უცნობმა. — როგორა მყავს თქვენი თავი?

— თქვენ თვითონ როგორა ხართ, ნაზი?

— გმადლობთ, კარგად ვარ თქვენი დახმარებით.

მერე თამარმა მიამბო იმ ქალის ამბავი. ის ნაზი ნარმანინძე ყოფილა სოფელ ზაქარიდან მის მეუღლეს ტრაქტორისტად უმუშავნია კოლმეურნეობაში და უდროოდ დაღუპულა უბედური შემთხვევის გამო. ახალგაზრდა, ქალს დარჩენია სამი მეცრეწლოვანი ბავშვი...

ნაზი ნარიმანიძის ბედი ხვდა ელენე სოხაშვილსაც. მისი მეუღლე სამამულო ომიდან ხეიბარი დაბრუნდა და მალე გარდაიცვალა. დარჩა ახალგაზრდა ქალი ორი პატარა ბავშვით, მაგრამ სულით არ დაეცემულა, ბევრი ვაჟიერობა და ბავშვებს მაინც არაფერი დაკლო. უფროსმა ცოლიერმ საშუალო სასწავლებელი დამამთავრა, მზიური კი მეცხრე კლასშია.

ვბრუნდებოდი უკან და გონების თვალით ვხედავდი საგურამოს მომავალს, ოან მისი ადამიანები მაგონდებოდა, რომელთა გახსენება გულში ყოველთვის სიხარულით იფვნეს.

ა. თომაძე.

„კომუნისტის" საკ. კორ.

• • •

სურათზე: ელენე სოხაშვილი.

რა აწუხებს სოფლის მასწავლებელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონო ედიტორო! გაგიგია, ალბათ, ჩვენ ქვეყანაში საბჭოთა მასწავლებლისთვის ზრუნვა. სათანადოდ შეფასდა ჩვენი ძველი და საპატიო შრომა — გაგვიდიდა ხელფასი, რის გამო პედაგოგები დიდად მადლიერი ვართ. ჩვენ უფლება გვაქვს სხვა სიკეთითაც ვისარგებლოთ — სსრ კავშირის 1948 წლის 10 თებერვლის დადგენილებით სოფელად მომუშავე პედაგოგებს გვეკუთვნის უფასო კომუნალური მომსახურება — ჩამოსულებს უზრუნველყოფა ბინით, გათბობითა და განათებით, ხოლო ადგილობრივებს — გათბობითა და განათებით. აღნიშნული დადგენილების გახორციელების მხრივ ქვეშეფთის სასოფლო საბჭოში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. ჯერ კიდევ 1965 წლის აგვისტოში სოფელ ცხრამუხის რვაწლიანი სკოლის ადგილკომმა მიმართა სასოფლო საბჭოს, მაგრამ მისმა თავმჯდომარემ ლ. მაჭარაშვილმა ყურად არ იღო ჩვენი სამართლიანი მოთხოვნა. მივმართეთ ხაშურის რაისაბჭოს აღმასკომს. აღმასკომმა ჩვენი განცხადება გადაუგზავნა ქვეშეფთის სასოფლო საბჭოს. ეს გვაგონებს ერთ იგავ-არაკს — თაგვმა კატას ლომთან რომ უჩივლა, ხოლო ლომმა ეს საჩივარი კვლავ კატას გადაუგზავნა.

მივმართეთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, რომელმაც განცხადება ხაშურის სახალხო განათლების განყოფილებას გადმოუგზავნა. ვერც ამჯერად მივაღწიეთ მიზანს. განმეორებით გავგზავნეთ განცხადება განათლების სამინისტროში. ჩვენი განცხადება კვლავ რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას გადაეგზავნა. შედეგი ძველი— ჩვენთვის თავი არავის შეუწუხებია. ნათელია მხოლოდ ერთი — ქვეშეფთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე თვითნებობს და მისი ხმის გამცემი კი არავინ არის.

ზემოთ მოყვანილი წერილის ავტორია ხაშურის რაიონის ცხრამუხის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელი, ადგილკომის თავმჯდომარე მ. კოპაძე.

ასეთი სახის საჩივარი ხშირად მოაქვს სარედაქციო ფოსტას. როგორც ჩანს, ბევრგან მოუგვარებელია ეს საკითხი. დავინტერესდით, და აი რა გამოირკვა:

საჩივრის ავტორს მიხეილ კოპაძეს, რომელიც ამ სოფლის მკვიდრია, სასოფლო საბჭო თვიურად უხდის ბიუჯეტით გაწერულ თანხას — 1,25 კაპიკს. მას ეს თანხა მხოლოდ განათებისათვის ჰყოფნის. 1965-66 წლის ზამთრის თვეებში განათბობისათვის არც ერთი კაპიკი არ მიუღია (შემოწმების შედეგ მას სასოფლო საბჭომ მისცა 3 ტონა ქვანახშირი). უკმაყოფილონი იყვნენ აგრეთვე ამავე სოფლის მასწავლებლები ნიკოლოზ კურტანიძე, ალექსი ქველაძე, მარიამ გოგიჩაიშვილი, შემცველი მასწავლებელი ბელა ქურდაძე და სხვ. ბევრი მათგანი დაქირავებულ ბინაში ცხოვრობს და ელოდება, როდის გადაუხდის სახლის პატრონს სასოფლო საბჭო ბინის ქირას. მასწავლებლების ბრეტენზიები, გულისტკივილი და საჩივარი თავიდან ბოლომდე სამართლიანია. ისინი ვერ სარგებლობდნენ შეღავათების იმ სიკეთით, რასაც მათ პარტიისა და მთავრობის დადგენილება აძლევს (შემოწმების შედეგად ამ მასწავლებლებს აუნაზღაურეს მიმდინარე წლის მაისის ჩათვლით ათათი მანეთი ბინის ქირისთვის. ხომ შეაძლებელი ყოფილა მათი დაკმაყოფილება!).

აი რას ვკითხულობ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 თებერვლის № 246 დადგენილება მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს: „უფასოდ დაუთმონ სასოფლო ადგილებში დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების მასწავლებლებს, დირექტორებს (გამგეებს) და სასწავლო ნაწილის გამგეებს და მათთან ერთად მცხოვრებ მათი ოჯახის წევრებს ბინა გათბობა-განათებით ადგილობრივად მოქმედი ნორმების მიხედვით.

კომუნალური ბინების უქონლობის შემთხვევაში სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს ეკისრებათ:

უშუალოდ დადონ ხელშეკრულებანი სკოლების მასწავლებლების, დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეებისათვის ბინების ოჯახის შესახებ. უზრუნველყონ სკოლების ეს მუშაკები გათბობითა და განათებით მოცემულ ადგილას მოქმედი ნორმების მიხედვით ამასთან მიუტანონ სათბობი შინ არაუგვიანეს პირველი სექტემბრისა წლიური მოთხოვნილების რაოდენობით".

როცა ეს დადგენილება ქვეშეფთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ლ. მაჭარაშვილს მოვაგონეთ, მან განაცხადა: — „ჩვენს საბჭოში რვა სკოლაა, მათ 100-მდე მასწავლებელი ემსახურება. კომუნალური მომსახურებისათვის ბიუჯეტის მიხედვით ვუხდით ადგილობრივ პედაგოგებს თვეში 1 მანეთსა და 25 კაპიკს, ხოლო ჩამოსულს — ბინის ქირად 5 მანეთსა და 90 კაპიკს.

1964 წლის თვითეულ მასწავლებელზე გაცემული ბინის ქირა ათ-ათი მანეთი და ერთი ფუბერი მეტრი შეშა, რამაც 1.881 მანეთის გადახარჯვა გამოიწვია ბიუჯეტს ზეგით. დარღვევად ჩაგვეთვალა და მომავალში ასეთი რამ სასტიკად აკეკრძალა. ამხ. კოპაძის მოთხოვნა სწორია, მაგრამ ჩემთვის ბიუჯეტიც აუცილებელი კანონია".

მგონი არავისთვის დასამალავი არ არის, რომ ქვეშეფთში, რომელიც საკურორტო ზონაა, ხუთ და ექვს მანეთად ერძო გამქირავებელი ბინას არ გასცემს და ამ პირობებში, ბუნებრივია, მასწავლებლები ვერასდროს ვერ დაკმაყოფილდებიან.

დადგენილებაში არის ერთი მუხლი, რომლის მიხედვით მასწავლებელი უფასო ბინით მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, თუ მანძილი მისი სახლიდან სკოლამდე 4-5 კილომეტრს აღემატება. აქ ძირითადად ხაშურელი მასწავლებლები მუშაობენ. ხაშურში დავობენ და დღემდე ვერ დაუდგენიათ, რა მანძილია რაიონის ცენტრიდან ცხრამუხამდე. იმ ორგანოებს, ვისაც ფულის გაცემა ეკისრებათ, მიაჩნიათ, რომ მანძილი 3 კილომეტრია, ამიტომ მათზე ბინის ქირა არ გაიცემა, ხოლო ტაქსის შოფრები მანძილს 4 კილომეტრამდე ვარაუდობენ და ამდენზეც იღებენ მგზავრობის საფასურს.

ხაშურის რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგეს თ. გიგიტაშვილს არასწორად მიაჩნია, რომელიმე საბჭოს დაუკმაყოფილებელი რომ ყავს სოფლის მასწავლებლები უფასო კომუნალური მომსახურებით. ჩვენ, — ამბობს იგი, — გაცემული გვაქვს განკარგულება ჩამოსულ ერთ მასწავლებელზე თვეში 5-დან 15 მანეთამდე დაიხარჯოს, ძმისათვის სასოფლო საბჭოს მუშაკებს არავინ დასჯისო, თან დასძინა, მთავარია თანხა ბიუჯეტის ზევით არ დაიხარჯოსო. ბიუჯეტში კი 5 მანეთი და 90 კაპიკი ზის. ამავე განყოფილების ბიუჯეტის უფროსი ინსპექტორი ე. ქორდაძე თვლის, რომ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული თანხა არ იქნება საკმარისი, ბიუჯეტის შესრულების წესით შეიძლება სხვა ხარჯებიდან იქნეს მასწავლებელი დაკმაყოფილებული, ისე რომ თანხები არ გადაიხარჯოს, არ გასცდეს საერთო ბიუჯეტის მოცულობას. კარგი იქნებოდა, სინათლე შეეტანათ საფინანსო დარგის მესვეურებს ამ განკარგულებაში, ადგილებზე თავის დროზე მიეთითებინათ იმათთვის, ვისაც ეს ეხება.

დავინტერესდით, როგორ კეთდება ეს საქმე ამავე რაიონის სხვა სასოფლო საბჭოში. მაგალითად, ჯიმის სასოფლო საბჭო ჩამოსულ მასწავლებლებს უხდის 5-15 მანეთს იმის მიხედვით, თუ როგორ შეძლო მასწავლებელმა ბინის დაქირავება, მაგრამ ეს ფული ხელზე, ფულად, რაც დადგენილებით სასტიკად აკრძალულია. აქ მასწავლებლებს განათვალი ფულიც სამ თვეში ერთხელ ხელზე ეძლევათ, რაც ავრეთვე დარღვევაა. ეს უნდა კეთდებოდეს გადარიცხვით. მასწავლებლები აქ სრულებით არ ირიან უზრუნველყოფილნი გათბობით.

ეს დარღვევა ერთეული შემთხვევა რომ იყოს, შეიძლება მაინც კიდევ არაფერი თქმულიყო. მაგრამ ეს საკითხი სხვაგანაც არ არის მოწესრიგებული, რაც ჩანს იქიდან, რომ ამ დღეებში კიდევ მოვიდა რედაქციაში დაახლოებით ასეთივე ხასიათის წერილი.

— ვმუშაობ ჩოხატაურის რაიონის ქვაბლის საშუალო სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის და გეოგრაფიის მასწავლებლად,—გვწერენ ნ. წოწორნავა და გ. ბურნაანძე, — ჩამოსული ვართ ზესტაფონის რაიონიდან. ვცხოვრობთ დაქირავებულ ბინაში. სასოფლო საბჭოს აღმასკომი გვიხდის კომუნალურს 6 მანეთს. ეს თანხა იმის მესაფიდია, რასაც ბინის ქირძო გამქირავებლები ითხოვენ, გათბობა-განათებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. როცა მოვითხოვეთ, ასეთი პასუხი მოგვცეს — ქალს, რომელიც დეკრეტულ შვებულებაში იმყოფება (!) კომუნალური არ ეძლევითო. შემდეგ ეს მოტივი შეიცვალეს და გვითხრეს — ცოლ-ქმარს ცალ-ცალკე არ ეკუთვნით კომუნალური, რადგან ერთ ბინაში საერთო განათებითა და გათბობით სარგებლობთო".

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახიუჯეტო სამმართველოს უფროსმა ამხ. ბ. ჯაფარიძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 თებერვლის დადგენილებით უფასო კომუნალური მომსახურებით სარგებლობენ სოფლის დაწყებითი, რვაწლიანი, საშუალო სკოლების მასწავლებლები, დირექტორები (გამგეები), სასწავლო ნაწილის გამგეები და სხვ. ეს დადგენილება აუცილებლად უნდა სრულდებოდეს. სასოფლო საბჭოს თუ ამ მუხლში გათვალისწინებული თანხა არ ჰყოფნის, სხვა მუხლებიდან დახარჯოს ისე, რომ ამან ბიუჯეტის გადახარჯვა არ გამოიწვიოსო.

რესპუბლიკაში 70 ათასამდე მასწავლებელია. ეს ის დიდი რაზმია, რომელსაც საპატიო და პასუხსაგები საქმე — ნორჩი თაობის აღზრდა ანდერია. მასწავლებელი ზრდის ყველა დარგის სპეციალისტს. მასწავლებლებმა აღზარდეს ის ადამიანებიც, რომლებიც დღეს ასე აბრკოლებენ მათთვის კუთვნილი თანხის გაცემას. განა ასე უნდა გადაუხადონ ამავე იმ ადამიანებს, რომლებმაც ამდენი შრომა გასწიეს?!

არავინ ამბობს, მასწავლებელს ეს თანხა არ კუთვნისო. ყველა საჭიროებათვლის ნამდვილად შესრულდეს ზემოგვიმი ორგანოების დადგენილება. მაგრამ საქმე მოუგვარებელია.

ეთერ მამალაძე.

„კომუნისტის" სპეც. კორ.

„თავად არ იყო ძმარიო"

ამ სათაურით „კომუნისტის" 1 ივლისის ნომერში დაბეჭდილი კრიტიკული წერილი ეხებოდა სოფელ ითხვისის საუბნო გზის მდგომარეობას. ამასთან დაკავშირებით პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ზ. პატარიძე რედაქციას სწერს:

„მაღარო" „ახალი ითხვისის" წყალგამტარის მშენებლობასთან დაკავშირებით მძიმე ტრანსპორტის მოძრაობის გამო გზა მართლაც დაზიანდა. ჭიათურის „შატმშენის" სამშენებლო სამმართველოს დავალა არა მარტო აღადგინოს, არამედ თავდაპირველთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში მოიყვანოს ალნიშნული გზა, გზის შეკეთების სამუშაოები დაკვრითი წესით მიმდინარეობს და მალე დამთავრდება".

ბოლის ახალი შევსება

დუშეთი. (საკ. კორ.). სიცოცხლით სავსე გოგონებმა თამარ ფერხულმა და ლამარა ბაიაშვილმა წელს გაზაფხულზე დაამთავრეს დუშეთის ვაჟა-ფშაველას სახელობის საშუალო სკოლა და სამუშაოდ წავიდნენ დუშეთის საკოსერვო ქარხანაში. ახალგაზრდა მუშებმა მოკლე ხანში ამსანაგების პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეს. მათი ფადაწყვეტილებაა გახდნენ კვალიფიციური მექონსერვეები, დაუსწრებლად მიიღონ უმაღლესი განათლება.

დაპირება პირნათლად შეასრულეს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა ნანული მთვარელიშვილმა, მერაბ მამნიაშვილმა, ლეილა მირზიაშვილმა, ციური ხოსრიაშვილმა, ნათელა ველთაურმა, გულნარა ბუჩუკურმა, ქეთევან მოსიაშვილმა, თინა მთიულიშვილმა და სხვებმა, დუშეთის საკონსერვო ქარხანას თავიანთი ბედი დაუკავშირა ცხრამტმა კომკავშირელმა ახალგაზრდამ, რომლებმაც სიმწიფის ატესტატი წელს მიიღეს.

დედაქალაქში ფეხსაცმლის ფაბრიკაში კომკავშირული საგზურით სამუშაოდ წავიდნენ ბარისახოს საშუალო სკოლა-ინტერნატის აღზრდილები მერი და ციცინო ხორნაულები.

მლეთის საშუალო სკოლიდან ენგურჰესზე სამუშაოდ გაემგზავრნენ მათე უშარაიძე და ელგუჯა ნარიმანიძე. ამათ გარდა, რაიონის კოლმეურნეობებში მოვიდა ათობით ახალგაზრდა, რომლებიც თავდადებით შეუდგნენ შრომას მშობლიურ ველ-მინდვრებში.

სურათზე: თამარ ფერხული (მარცხნივ) და ლამარა ბაიაშვილი ერთმანეთს უზიარებენ შთაბეჭდილებას მზა პროდუქციაზე.

ფოტო ვ. ქისტაურისა.

ქუთაისი. (საკ. კორ.). „საქსოფლტექნიკის" ქუთაისის ბაზამ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მილიონ 970 ათასი მანეთის ტრაქტორები, ავტომობილები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მინერალური სასუქები, ზხამქიმიკატები და სამშენებლო მასალები მიჰყიდა დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

ამ დღეებში ბაზიდან რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში გადაიგზავნა „დდნ-45" მარკის 28 ცალი საწვიმარი აგრეგატი.

როგორ არ უნდა ზრუნავდნენ მარნეულის რაიონში თამბაქოსათვის

◆

თვეზე მეტია მიწას წვიმის წვეთი არ დასცემია. გაჯიუტდა ბუნება. თამბაქოს ფოთლები დაუჭანა და უდროოდ გაუვიოლდა. აგერ უკვე გადაწვაზეა მიმდგარი. უბერს სიმინდს, ვაზს, ბოსტნეულს, ხეხილის ნარგავებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს. იქვე კი მტკვრის ზვირთები ლაღად მიგორავს და მიმზხუის. მაგრამ არავინ არის პატრონი, რომ წყლის საჭირეში მოაწყოს, გზა გაუკვალოს და მოწყურებულ ყანას, თამბაქოს პლანტაციას მიუშვას.

ეს ამბავი ხდება მარნეულის რაიონის მუღანლოს სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში (დირექტორი რ. ჯანტურია). ამ დროს იქვე, მეზობლად მდებარე ალგეთის საბჭოთა მეურნეობის მინდვრებში და თამბაქოს პლანტაციებში შრომის ფრიამოდი იდგა. ხრამის არხიდან რწყავდნენ ნათესებს, თამბაქოს პლანტაციებს.

მაშ რა მოხდა მუღანლოს მეურნეობაში? აქ ხომ წელიწადის ყოველ დროს უხვად არის წყალი, წყალში დგანან და უწყალობით რატომ ხმები ნათესები, თამბაქოს პლანტაცია?

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსარწყავად ხრამის არხიდან წყალი საბჭოთა მეურნეობებს გრაფიკის მიხედვით უნდა ეძლეოდეს. ამ საქმეზე სათანადო ხელმძღვანელობა და კონტროლი არ არის. ალგეთელებმა უკონტროლობით ისარგებლეს და წყალს მუღანლოს მეურნეობის თამბაქოს პლანტაციებში, ნათესებში გზა შეუზღუდეს, თავიანთ ნათესებში დიდძალი წყალი მიუშვეს.

ვნახეთ ბუღანლოს მეურნეობის 38 ჰექტარი თამბაქოს პლანტაცია. ის ძალიან დაკნინებულია, არც სხვა მხრივ არის საქმე კარგად. მილიონი ზონარმეტრი თამბაქოდან შეტეხილია მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი — 112 ათასი ზონარმეტრი. მეურნეობას შესაძლებლობა აქვს ხრამის არხიდან წამში დაახლოებით 290 ლიტრი წყალი მიიღოს, ასეთია გრაფიკიც. მაგრამ იღებს? არა, ამისათვის თავი არავის შეუწუხებია. ეს პირველ რიგში ითქმის სოფლის მეურნეობის სამმართველოსა და მარნეულის წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოს მუშაკებზე. მარტო თამბაქოს მოუსავლიანობით მეურნეობამ წელს შეიძლება 50.000 მანეთი ზარალი ნახოს. ეს კი დანაშაულია.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ყველას როდი შესტკივა გული საერთო საქმისათვის. სოფელში ზარმაცები მოგრავლდნენ, უპასუხისმგებლობა ფრთებს შლის. მაგალითად, მეშვიდე ბრიგადის წევრებმა თამბაქო დარგეს, შემდეგ კი ახლოს არ გაჭაარებიან. 0,5 ჰექტარი პლანტაცია ისე იყო დასარეველიანებული, რომ თამბაქოს მცენარე ბალახში იყო ჩაფლული და არ ჩანდა. აქ დღემდე ერთი კილოგრამი თამბაქოს ნედლეული არ აუღიათ. ისედაც დაკნინებული თამბაქოს ფოთოლი უპატრონობისაგან გადამწვარია. ბრიგადირი მ. გასანოვი კი არხეინად გრძნობს თავს.

ზოგიერთი მუშა, რომელიც მეურნეობის ყოველივე სიკეთით სარგებლობს, მუშაობას გაურბის, სამაგიეროდ საკარმიდამო ნაკვეთი საუკეთესოდ აქვს მოვლილი. ეს პირველ რიგში ითქმის კომუნისტ გალანდაძეს სარაალოზე. მეურნეობაში რომ იკითხოთ, სად არის იგი, გეტყვიან, ბაზრებში სასპეკულიანტოდო. მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ბ. ყარაევი ასეთ საგანგაშო ფაქტებს რატომღაც ურიგდება.

მეურნეობაში 150 ბავშვიანი ქალია. ისინი სისტემატურად ვერ მუშაობენ საბავშვო ბაღის უქონლობის გამო. საბავშვო ბაღისათვის გათვალისწინებული შენობის ერთი ოთახი სკოლის ინვენტარის საწყობად არის გადაქცეული.

ერთი სიტუაციი არ სჩანს მოსდომება. ხხვა რომ არაფერი, მდინარე მტკვარზე, რომელიც მეურნეობის ნათესებს გვერდზე უვლის, ორ-სამ ადგილას შეიძლებოდა მოწყობილიყო წყლის საქაჩები. ამით მუდმივად უზრუნველყოფილი იქნებოდნენ სარწყავი წყლით.

ალგეთის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ა. ველიევი) დიდი შრომა დაიხარჯა, თამბაქოს უხვი მოსავალი მოიყვანეს. მაგრამ ახლა, მეტად პასუხსაგებ დროს, მოსავლის დაბინავებაზე ყველა როდი წუხს. ამის გამო თამბაქოს ნედლეულის აღება ჭიანურდება. მეურნეობის ამოდენა სიმდიდრე ფუჭდება.

ამ მხრივ ყველაზე ცუდი მდგომარეობაა პირველი განყოფილების იმ ბრიგადის ნაკვეთში, რომელსაც ახმედ გასანოვი ხელმძღვანელობს. (საცოდავად გამოიყურება თამბაქოს პლანტაცია). თვითეულ მცენარეზე შეიძლება შეტეხონ 10-12 ფოთოლი, მაგრამ ვინ არის პატრონი? აუღებლობით კი ფოთლის ნაწილი გადამწვარია. აქ ყოველდღე შეიძლება სამუშაოდ გამოვიდეს 60 კაცი, მაგრამ ამის ნახევარსაც ძლივს ნახავთ. ბრიგადის 2 ჰექტარ პლანტაციაზე დაახლოებით 20 ცენტნერამდე თამბაქოს ფოთოლი აუღებლობის შედეგად გადაიწვა. და ეს მაშინ, როდესაც მისი მეზობელი იმ ბრიგადების წევრები, რომლებსაც ა. გაჯაევი, თ. სადიკოვი ხელმძღვანელობენ, არ ტოვებენ აუღებელ ფოთოლს.

მეურნეობის დირექტორმა ა. ველიევმა გვითხრა: რა ვქნა, ყველა არ მუშაობს. შამბათ კახანოღლი ამდღულაევი და მისი ცოლი წელს ერთხელაც არ გამოსულან სამუშაოდ. ასევე იქცევიან ისმაილ გაჯიევი და სხვები. რა ღონისძიებები არ ვიხმარეთ, მაგრამ არაფერი გამოდისო.

უხეირო თავისმართლებაა! ზარაცები მეურნეობის სიკეთით დღემდე ცხოვრობენ, დირექციამ, პარტიულმა ორგანიზაციამ კი ვერ მოახერხეს ისინი შრომაში ჩაებათ.

ალგეთის საბჭოთა მეურნეობა რაიონში ერთ-ერთი წამყვანია მეთამბაქოობაში. აქ 467 ჰექტარი პლანტაცია აქვთ. მათ გეგმით 700 ტონა თამბაქოს ნედლეული უნდა დაამზადონ. შესაძლებლობა მეტისა აქვთ. ფოთოლი ყველგან უხვად არის. თუ დროზე და უდანაკარგოდ აიღებენ მოსავალს ალგეთელები, სახელმწიფოს გეგმის ზევით მისცემენ სულ მცირე 100 ტონა თამბაქოს. მაგრამ აღებული ტემპით კი შეიძლება გეგმაც ვერ შეასრულონ და ამით მეურნეობას გარკვეული ზარალიც მიაყენონ.

მარნეულის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ვ. ჯაში) ფულადი შემოსავლის 26 პროცენტს მარტო თამბაქო იძლევა. აქ ყველა პირობაა, რომ მოიყვანონ თამბაქოს უხვი მოსავალი. გეგმით გათვალისწინებული 2.350.000 ზონარმეტრი თამბაქოდან უკვე შეტეხილი და ანემსილია ნახევარზე მეტი. განსაკუთრებით უხვი მოსავალია იმ აგროგანყოფილებაში, რომლის უფროსია მ. ასკაროვი. აქ ზოგან ჰექტარზე 30 ცენტნერ თამბაქოს მიიღებენ ნაცვლად 16 ცენტნერისა.

მეურნეობას უკეთესი მაჩვენებლები ექნებოდა. რომ ყველა ერთგულად

ᲐᲕᲑᲔᲓᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲕᲔᲑᲘ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲚᲘᲜᲓᲜᲘᲜ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ

ᲒᲐᲛᲝᲒᲔᲜ ᲓᲐᲑᲝᲛᲒᲕᲐᲡ

ᲯᲐᲜᲣᲐ, 20 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲐᲚᲤᲠᲔᲓ ᲒᲐᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲐᲛᲑᲔ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲕᲓᲔᲑ

კომუნისტი

ახალი ამბები

ცნობები

ჩვენი ინტერვიუ

ქართულ მოხსენებას ისმენს კიოტო

მსოფლიო კონგრესზე იაპონიაში

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მეცნიერების სხვადასხვა დარგში ფართო გამოყენება მოიპოვა ელექტრონულმა მიკროსკოპმა. მისი მეშვეობით დღეისათვის მიღებულია ფრიად მნიშვნელოვანი აღმოჩენები, რომლებიც მეცნიერების ზოგიერთ დარგში შეიძლება ახალი ერის დაწყების საწყისდარს წარმოადგენდეს.

ამა წლის 21 აგვისტოს კიოტოში (იაპონია) გაემგზავრება საბჭოთა კავშირის მეცნიერთა დელეგაცია. 12 კაცის შემადგენლობით. დელეგაციას ხელმძღვანელობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბ. ვაინშტეინი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან საბჭოთა ელექტრონული მიკროსკოპების დარგის ცნობილი სპეციალისტები, ინჟინერ-კონსტრუქტორები, ფიზიკოსები, ქიმიკოსები, კრისტალოგრაფები და მეტალოლოგები, ვირუსოლოგები, ბაქტერიოლოგები...

II მსოფლიო კონგრესი ელექტრონული მიკროსკოპების დარგში მოწვეულია იაპონიის ქალაქ კიოტოში, გამგზავრების წინ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა აღნიშნული კონგრესის მონაწილეს, საბჭოთა კავშირის დელეგაციის წევრს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ელექტრონულ მიკროსკოპიის ლაბორატორიის ხელმძღვანელს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს **არჩილ მიქელაძეს.**

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში ა. მიქელაძემ განაცხადა:

— უკანასკნელი V მსოფლიო კონგრესიდან, რომელიც 1962 წელს იყო ლ. ფილადელფიაში, ოთხი წელიწადი გავიდა. ბევრია, მაგრამ ეს ოთხი წელი საკმაოდ დიდი დროა ელექტრონული მიკროსკოპიის განვითარების პირობებში. ამ ხნის განმავლობაში მეცნიერების სხვადასხვა დარგში მიღებულია მრავალი ისეთი ფაქტი, რომლებსაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება.

ელექტრონული მიკროსკოპიის გამოყენებამ განაპირობა მეცნიერებათა მთელი რიგი დარგების სწრაფი პროგრესი, კერძოდ, ბიოლოგიური მიკროორგანიზმების ხატვაში. სტრუქტურის შესწავლის დარგში, ვირუსოლოგიასა და მოლეკულოლოგიაში, მეტალურგიასა და ფიზიკურ ქიმიაში, კრისტალოგრაფიასა და ბიოფიზიკაში, საერთოდ, ბიოლოგიასა და მედიცინაში. ყველა ამ ბიოლოგიურ თუ არაბიოლოგიურ პრობლემებს მიეძღვნება კონგრესზე ათას ზე მეტი მოხსენება სპეციალური ფილმების დემონსტრირებით.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ 40-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები, სულ 1500-მდე დელეგატი. ერთდროულად ეწყობა მეცნიერული და კოლეგიალური გამოფენები, სადაც წარმოდგენილი იქნება ელექტრონული მიკროსკოპების უკანასკნელი მოდელები და ყველა სახის დამხმარე უკანასკნელი აპარატური.

გამოფენისადმი ინტერესი დიდია, ვინაიდან უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ინჟინერ-კონსტრუქტორების მიერ მიღწეულია ელექტრონული მიკროსკოპების გადიდების საშუალების თითქმის მაკსიმუმი (1 ანგსტრემი — უდრის 1/10.000 მიკრონს ან სანტიმეტრის 100 მილიონედს) ფოტოგრაფირებ და მის ქვეშოთ. ეს ნიშნავს, რომ ალნიშნულ მიკროსკოპებში ატომი უკვე ხილვადი ხდება.

— რა მოხსენებით წარდგებით თქვენ აღნიშნულ კონგრესზე? ამ კითხვაზე ა. მიქელაძემ უპასუხა:

— როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით წყდება მთელი რიგი პრობლემები თავის ტვინის ფუნქციისა და სტრუქტურის შესწავლის დარგში. ინსტიტუტის სხვა ლაბორატორიებთან ერთად ელექტრონული მიკროსკოპიის ლაბორატორიაში ხდება თავის ტვინის სტრუქტურული ელემენტების ნეოვული და გლიური უჯრედებისა და კაპილარების ულტრასტრუქტურის შესწავლა, განსაკუთრებით კი ნეოვულ უჯრედთა შორის კავშირების — ეგრეთწოდებული სინაფსების ულტრასტრუქტურის შესწავლა სხვადასხვა ფიზიოლოგიურ პირობებში ან ექსპერიმენტული ზემოქმედების პირობებში. სწორედ ერთ-ერთი ასეთი გამოკვლევის შედეგებს, კერძოდ, ზურგის ტვინის ზოგიერთი ბირთვის ულტრასტრუქტურას მისი გადაგვარების პირობებში — აი ამ მონაცემებს მოვახსენებ კონგრესს, რაც პროგრამით არის გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ ნერვული სისტემის ელექტრონულ-მიკროსკოპიულ გამოკვლევებს კონგრესზე დაეთმობა სამი სესეკციო სხდომა.

კონგრესის დელეგატები მოწვეული არიან აგრეთვე იაპონიის ელექტრონული მიკროსკოპების მწარმოებელი ფირმების მიერ ქალაქებში ტოკიოსა და იოკოჰამაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული კუბოსანი

ექვსმა მშვენიერმა კუბელმა მანეკენმა ქალმა პირველად აჩვენა თბილისელებს რევოლუციური კუბოსანი

ექვსმა მშვენიერმა კუბელმა მანეკენმა ქალმა პირველად აჩვენა თბილისელებს რევოლუციური კუბოსანი. მოდების ორიენტაციინ ბიუროს სამი წლის წინათ შეიქმნა. დაარსა კუბის პროფესიონალი მანეკენები, მათ რიცხვში მოხალისე ქალიშვილები გამოდიან, რომლებიც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მუშაობენ.

კუბის მოდების სახელი პირველად მოგზაურობს ჩვენს ქვეყანაში. მათ უკვე უჩვენეს თავიანთი მოხდენილი მოდები მოსკოვსა და ბაკოში. კუბის რესპუბლიკის ტანსაცმლის მოდელების რევიუ თბილისიდან სოხუმს გაემგზავრება, შემდეგ კი კვლავ მოსკოვში გამართავს გამოსვლებს. თბილისელი მოდის მოყვარულნი კმაყოფილნი დარჩნენ 1966-67 წლების სეზონის ტანსაცმლის ახალმდე მოდელით, რომელთა უმეტესობას ისინი ტაშით აცილებდნენ. გუშინ, თბილისში ყოფნის მეორე დღეს, მათ საქართველოს მოდელების სახლთან ერთად ერთობლივი ჩვენება მოაწყეს.

პრეს-კონფერენციაზე, რომელშიც კუბის რეს-პუბლიკის ვაჭრობისა მინისტრის პირველი მოადგილე **რობერტო ინტერია** და მოდების ორიენტაციის ბიუროს დირექტორი **სოროკინა ნუნიესი** მონაწილეობდნენ, ლაპარაკი იყო ახალი კუბის მოდებზე, რომლებიც ახალმა ცხოვრებამ მოიტანა. სოროკინა ნუნიესმა თქვა:

— ძირითადად ჩვენს მოდებში გეომეტრული მიმართულება სჭარბობს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უარს ვამბობთ კლასიკურ მიმართულებაზე. კუბის მოდების შექმნისას მხატვრები და მოდელიერები ითვალისწინებენ ეროვნულ ხასიათს. კუბძულის კლიმატურ პირობებს. ამიტომაც სჭარბობს ექსპონატებში სალაყე კოსტიუმები, სასაფხულო ტანსაცმელი. ისინი მსუბუქია, მათში ცოცხალი, მკაფიო და ამავე დროს არამყყრალა ფერები სჭარბობენ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ბუნებრივი ფერები.

კუბაში ახალი ცხოვრება ჩქეფს, და ამიტომაც ვცდილობთ ტანსაცმლის ნახაზშიც გადავიტანოთ ეს მაჯისცემა. ორიენტაციის ეროვნული სახელი ფართო პროპაგანდას ეწევა. მოდელების ნაწილი წარმოებაში ინერგება, დანარჩენს კი რეკლამას ვუწევთ ტელევიზიით, გაზეთებით და ჟურნალებით, რათა მოსახლეობამ უკვეთესად შეიკეროს ტანსაცმელი. კუბელებს უყვართ და იციან ლამაზი ჩაცმა.

საბჭოთა კავშირში ჩვენი ვიზიტი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, გამოცდილების ურთიერთგაზიარება სასარგებლო იქნება ორივე მხარისათვის.

მოდების დემონსტრირებისას ფილარმონიის საზაფხულო თეატრში და საქართველოს მოდების სახლში კუბელმა მანეკენებმა ანიტამ, ნანამ, მარიხოლმა, დიეზამ, ედენმა და მარიამ შესანიშნავად წარმოადგინეს კოლორიტული კოსტიუმები. კარგი იყო საპალაჟე ფერადი სამოსები, -ხაზაფხულო მრავალფეროვანი მსუბუქი კაბები, მოხდენილად გადაწყვეტილი ხალამოს ჩაცმულობა.. რაც მთავარია რევოლუციური კუბოსანის მოდები ელეგანტური, სადა და ლამაზია.

რევიუს დასასრულ სახალხო მილიციელის ფორმისა და ლერწმის ჯრის დროს გამოსაყენებელი კოსტიუმის დემონსტრაციას მოჰყვა თეთრ ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი ქალიშვილის გამოსვლა, რომელსაც საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკის ალმები ეკავა. ქალიშვილის გამოსვლას მრავალრიცხოვანი მაყურებელი მხურვალე ტაშით შეხვდა.

* * *

სურათებზე: კუბელი მანეკენები მოდების დემონსტრირების დროს ფილარმონიის საზაფხულო თეატრში.

ფოტო **შ. ჩხეტიანისა.**

ადგილი ფერფერულ ეროვნული

სენსაცია ტრეტიაკოვის გალერიაში

ტრეტიაკოვის გალერეის ექსპოზიცია დაბრუნდა იაროსლავლის ოლქიდან და თან ჩამოიტანა ძველი რუსული ფერწერის 150 ახალაღმოჩენილი ნაწარმოები. მათ შორის არის „მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი“.

იგი აღმოჩენილ იქნა ოლქის ეპარქიის ეპისკოპოსის ნიკონის პატარა სოფელ ნოვოგროსში, ნიკონისეულ ეკლესიაში, რომელიც განსაკუთრებულ არქიტექტურულ ღირებულებას არ წარმოადგენს, სპეციალისტის გამოცდილმა თვალმა ყურადღება მიაქცია ხისლურსმნიან სოგმანებს. ძველი ფერმწერები ასე ამაგრებდნენ ხატების ფიცრებს. ხატს მოაცილეს ჭედარტლის ფენა, და მის ქვეშ აღმოჩნდა ხატწერის უმშვენელი კვალი.

რესტავრატორმა ნიკოლოზ კიმილოვმა ადგილზე სახელდახელოდ გადაწყვიტა ხატი. გამოჩნდა მაცხოვრის იმვითი სილამაზის სახე.

სპეციალისტები ამბობენ, რომ ახალაღმოჩენილი „მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი“ უძველესსა აღმოჩენილა, შეიძლება ითქვას, უდიდესი უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. ჩვენში შედარებით ბევრია ძველი რუსული ხელოვნების ფენომენი XIII საუკუნისაზე უფრო ადრინდელიც კი, მაგრამ თითქმის ან არის XIII საუკუნისა („მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის“ საგარაუდო დათარიღებაც ასეთია). ეს ალბ ის პერიოდი, როცა რუსეთმა, ევროპის ცივილიზაცია რომ გადაურჩინა, მონღოლთა ურდოების დარტყმები თავის თავზე მიიღო. ამ პერიოდში კულტურული ცხოვრება თითქმის ჩაკვდა, და ძველი კულტურის ანალაღმოჩენილი ძეგლი ერთ-გრთია. ამ დროიდან შემონახულ მცირეოდენ ქმნილებათაგანი.

იგი განეკუთვნება როსტოვ-სუზდალის სკოლას, რომელსაც მკაფიოდ გამოხატული ეროვნული ნიშნები ჰქონდა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ანალაღმოჩენილ ხატზე გამოსახულია სწორედ ხელთუქმნელი მაცხოვარი — ძველი რუსეთის მფფრობის ტრადიციული ემბლემა. დროშით, რომელზეც გამოსახული იყო ხელთუქმნელი მაცხოვარი, მიდიოდნენ საბრძოლველად ალექსანდრე ნეველის პოლკები. ამავე ხატიანი დროშით იბრძოდნენ რუსები ისტორიულ ომში კულიკოვოს ველზე.

ძველ რუს ფერმწერს, რომელსაც „ხელთუქმნელი მაცხოვარი“ შეუქმნია, ოქრო არ გამოუყენებია. ეს უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ „ხელთუქმნელი მაცხოვარი“ დაწერილია ალ ფდაქალაქში, არამედ სადღაც ადგილზე. „ალიდეკით, რუსებო“ — ასეთი მოწოდებად გაისმოდა ეს სურათი.

მაცხოვარს ღია, ნათელი სახე აქვს. წმინდა ხაზებში იგივე დიდებული ჰარმონიაა, რომლითაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა ძველი რუსული ფერწერის რუბლიოვის სკოლამ. ფერთა შეხამებანი რბილი და მსუბუქია. საოცარია თვალები — გამჭრიახი, ყურადღებიანი და მკაცრი, შინაგანი დაბაბულობით აღსავსე.

ტრეტიაკოვის გალერიაში გეცნობებს, რომ „ხელთუქმნელ მაცხოვარს“ ფართო საზოგადოებას ალბათ წლის დამლევს უჩვენებენ ძველი რუსული ფერწერის როსტოვ-სუზდალის სკოლის ნაგარაუდევ გამოფენაზე. ეს რუსთა ძველი სახელმწიფოს მუზეუმში შექმნილ ნაწარმოებთა გამოფენა იქნება.

— უდიდესი სიხარულით ვმუშაობ „ხელთუქმნელი მაცხოვრის“ რესტავრაციაზე, — თქვა რესტავრატორმა ნიკოლოზ კიმილოვმა. — ეს არაჩვეულებრივი ნაპოვნია. ჩვენ მიერ აღმოჩენილი ნამუშევარი რუსული ეროვნული სკოლის, რუსული ეროვნული სულის უადრესად მკაფიო გამოხატულებაა.

ალ. ბაიგუშევი,
აახ-ის კორესპონდენტი.



ეროვნული ქართველ ქალთა ალბომი

ეროვნული ბალეტი

ქუთაისელ ჟურნალისტთა კრება

ქუთაისი. (სკკ. კორ.). აქ გაიმართა ქ. ქუთაისის და მის ახლო მდებარე რაიონების ჟურნალისტთა კრება.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ქუთაისის სარწმუნებულოს მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორი გ. მეფისაშვილი.

მოხსენების გამო სიტყვებით გამოვიდნენ დ. გაბრიაძე (წყალტუბოს რაიგაზეთის რედაქტორი), დ. ბედიშიძე (გაზეთ „ქუთაისის“ მარტიული ცხოვრების განყოფილების გამგე), ბ. მალანია (ლენინის რაიგაზეთის რედაქტორი), მ. გოგოძე (დაბა ვანის საშუალო სკოლის მასწავლებელი), დ. ხურციძე (გაზეთ „კუტაისისკაია პრავდის“ მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე), ა. მეცხოვრიშვილი (გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის“ რედაქტორი), ა. ქვათელაძე (წულუკიძის რაიგაზეთის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე).

ჟურნალისტთა კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

კრებამ მიიღო გადაწყვეტილება ჟურნალისტთა კავშირის ქუთაისის სარწმუნებულოს ჟურნალისტთა კავშირის ქუთაისის განყოფილებად გარდაქმნის შესახებ.

არჩეულ იქნენ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ქუთაისის განყოფილების ბიურო, სარევიზიო კომისია და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მესამე ყრილობის დელეგატები.

ოლიმპიადა

ოლიმპიადა

ოლიმპიადა

ოლიმპიადა

ოლიმპიადა

#